საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
„კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის''

საინფორმაციო ბიულეტენი #4

აპრილი-იანვარი 2018

#საია

12 მაისს, ღამის საათებში თბილისის რამდენიმე კლუბში ჩატარდა სპეციალური ოპერაცია. ოპერაციის მასშტაბებმა და ფორმამ გააჩინა ეჭვები, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანს ძალის დემონსტრირება წარმოადგენდა. პოლიციის მოქმედებების გასაპროტესტებლად სპონტანურად ორგანიზებული აქციის საპასუხოდ, პოლიციის მიერ აქციის მონაწილეთა მასობრივმა დაკავებამ და მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღუდვამ კი, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ **ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კანონმდებლობა ადამიანის უფლებების დარღვევის უკონტროლო წყაროდ რჩება.**

მე-4 ბიულეტენის წინასიტყვაობაში შევეხები, 12 მაისს, თბილისში, განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საია-ს აქტივობებს.

ჩატარებული ღონისძიების მასშტაბების და მნიშვნელობის გათვალისწინებით, საია-მ და EMC-იმ ერთობლივად დაიწყეს 12 მაისის ღამეს განვითარებული მოვლენების დეტალური შესწავლა. სამართლებრივი შეფასება მალე დასრულდება და ივლისის ბოლოს მისი შედეგები დაინტერესებულ პირებს წარედგინება.

პარალელურად, საია აგრძელებს 12 მაისის ღამეს ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების ინტერესების სასამართლოში დაცვას. მათ შინაგან საქმეთა სამინისტრო წვრილმან ხულიგნობას ან/და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ედავება. სამწუხაროდ, ამ ტიპის საქმეების განხილვის წარსული გამოცდილება ადასტურებს, რომ სასამართლოსთვის მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებები და განმარტებები საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევა სამართალდარღვევის დასადასტურებლად. საია ცდილობს ეს პრაქტიკა შეცვალოს, რაც არაკონსტიტუციური სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ძირეული რეფორმის გარეშე ვერ იქნება მიღწეული.

სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებზეც საია ბოლო სამი თვის განმავლობაში მუშაობდა, გთხოვთ, გაეცნოთ ბიულეტენის შემდეგ გვერდებზე. ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას კი, თვალი ადევნოთ აქ: **www.gyla.ge**

ნონა ქურდოვანიძე,
თავმჯდომარის მოადგილე, საია

რას აჩვენებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგი?

28 ივნისს, საიამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ გამართეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის საქმიანობის მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ **საბჭომ ვერ უზრუნველყო სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის" სათანადოდ განხორციელება პრაქტიკაში** - მოსამართლეები თანამდებობაზე დაინიშნენ იმავე ხარვეზებით, რომელთა აღმოფხვრასაც რეფორმა ისახავდა მიზნად. საბჭოს ახალ შემადგენლობაშიც რჩება აზრთა პლურალიზმის და კრიტიკული აზრის აშკარა მიუღებლობის პრობლემა.

გაგრძელება იხ. შემდეგ გვ.-ზე.

სარჩევი

1. *რას აჩვენებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგი ?* 1
2. *!!ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა უსამართლო კოდექსი!!* 1
3. *შეხვედრები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში* 2
4. *საიას სასამართლო მეგობრის მოსაზრება ევროპულ სასამართლოში* 2
5. *შშმ პირთა პოლიტიკური უფლებები საქართველოში* 3
6. *საიას წარმატებული საქმეები* 3
7. *ახალი პროექტი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა თბილისში* 4
8. *საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება* 4

მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემა კვლავ არაეფექტურია, რაც შეიცავს საფრთხეს მოსამართლის დამოუკიდებლობისთვის. კანონმდებლობა ხასიათდება ისეთი ხარვეზებით, რაც საბჭოს დაუსაბუთებელი და სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების ფართო შესაძლებლობას უტოვებს. კერძოდ:

- **2017 წელს შემადგენლობის განახლებას საბჭოს საქმიანობაში არსებითი ცვლილებები არ მოჰყოლია.** ახალარჩეული მოსამართლე წევრები მათი საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად წინა შემადგენლობის მიერ განსაზღვრული ხედვის გაგრძელებას მიიჩნევდნენ, ხოლო არამოსამართლე წევრების უმრავლესობამ კი, ვერ გამოავლინა ინდივიდუალური ხედვები და სათანადო პრინციპულობა;

- **საბჭოში გრძელდებოდა განსხვავებული აზრის დევნა და მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის არაჯანსაღი გავლენების დემონსტრირება.** საზოგადოებას ხშირად უხდებოდა საბჭოს სხდომებზე მოესმინა არაეთიკური ბრალდებები და აგრესიული განცხადებები, რასაც ხშირად არაფერი ჰქონდა საერთო სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ საგნობრივ, არგუმენტირებულ დისკუსიასთან.

- **საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია დახურულია.** განსაკუთრებით პრობლემურია მოსამართლეობის კანდიდატების უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის (2014-2016 წლებში სულ 4, ხოლო 2017 წელს 45 კანდიდატის მიერ) მოთხოვნით გასაუბრების ეტაპის დახურვა;

- საანგარიშო პერიოდში **141 მოსამართლე, მათ შორის, 67 უვადოდ, თანამდებობაზე დაუსაბუთებელი და გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებების საფუძველზე დაინიშნ**ა: არ არის გათვალისიწინებული მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების დასაბუთება შესაბამის წყაროებსა და მტკიცებულებებზე მითითებით;

- **საბჭო სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეებს** შესაბამისი კრიტერიუმებისა და პროცედურების გარეშე, უმეტესად **უკონკურენტო გარემოში ნიშნავს.**

- **მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის უკიდურესად დაბალი მაჩვენებლი ანგარიშვალდებულების მექანიზმის არაეფექტურობაზე მიუთითებს**. იმავდროულად, დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის მაღალი მაჩვენებელი, არასათანადო გამჭვირვალობის პირობებში, წარმოშობს ეჭვებს ამ გადაწყვეტილებების ობიექტურობასთან დაკავშირებით.

!! ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა უსამართლო კოდექსი !!

დღეს მოქმედი 1984 წლით დათარიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ყოველდღიურად არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, იგი არაკონსტიტუციურია და შეუსაბამო საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან.

აღნიშნული კანონმდებლობა თავისი ბუნებით ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი პროცესის მოთხოვნებს და არამართლზომიერად ზღუდავს ფუნდამენტურ უფლებებს, მათ შორის, მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის უფლებას. კოდექსი ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ითვალისწინებს მძიმე სახდელებს, მათ შორის, ადმინისტრაციულ პატიმრობას, თუმცა, აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს გააჩნია. იგი არ ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: *გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ხელმძღვანელობა, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა, ეფექტური წარმომადგენლობის განხორციელება* და სხვ. აღნიშნული კანონმდებლობის საფუძველზე კი, ქვეყანაში ყოველწლიურად განიხილება 30 000-მდე სამართალდარღვევის საქმე!

საია აქტიურად უწევს ადვოკატირებას კოდექსის რეფორმირების საკითხს. კოდექსის სხვადასხვა მუხლებზე, ამჟამად, საიას საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი აქვს **ხუთი სარჩელი.** ასევე, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების“ ფარგლებში, საიამ თხოვნით **მიმართა** გაეროს სპეციალურ მომხსენებელს, კლემენტ ნიალეტსო ვულუს, რათა შეისწავლოს ზემოაღნიშნული კანონმდებლობის გამოყენებით საქართველოში მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრაქტიკა.

შეხვედრები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში

მიმდინარე წლის 14-18 მაისს, საიას წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ჰაგაში გამართულ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ყოველწლიური სტრატეგიული მრგვალი მაგიდის შეხვედრებში.

ფოტო @ICC

მრგვალი მაგიდა შეეხებოდა არასამთავრობო სექტორსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შორის თანამშრომლობასა და იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშე სასამართლო დგას გამოძიების წარმოებისას სხვადასხვა ქვეყნაში.

საქართველოდან შეხვედრებს, საიას გარდა, ასევე, სხვა ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. **ქართულმა მხარემ ისაუბრა 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიმდინარე გამოძიებასა და ამ პროცესთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.** განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოში სასამართლოს ადგილობრივი ოფისის გაძლიერებისა და აქტიური საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელების საჭიროებაზე, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ პირებთან, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სამართალწარმოების პროცესში, მათ უფლებებთან დაკავშირებით. **ქართველმა მონაწილეებმა, ასევე, ხაზი გაუსვეს ომის შედეგად დაზარალებულ პირთა მძიმე სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას და მოუწოდეს დაზარალებულთა ნდობის ფონდს საქართველოში განახორციელონ მხარდაჭერის პროგრამები ომის შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარების მიზნით.**

მრგვალი მაგიდის შეხვედრებში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

საიას სასამართლო მეგობრის მოსაზრება ევროპულ სასამართლოში

22 მაისს, საიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" სასამართლო მეგობრის მოსაზრება წარადგინა.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილ წერილობით მოსაზრებებში საია მიმოიხილავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე და 89-ე მუხლებთან დაკავშირებით (იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ასევე, საქმეთა განაწილების პრინციპთან მიმართებით საერთაშორისო სტანდარტებსა და საქართველოს კანონმდებლობას. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, საიას მიერ წარდგენილი მოსაზრებები არ შეიცავდა ფაქტობრივი გარემოებებისა და დავის არსებითი მხარის მიმოხილვას.

ევროპულმა სასამართლომ საიას მოთხოვნა ,,რუსთავი 2"-ის საქმეზე სასამართლო მეგობრის სტატუსით ჩართვასთან დაკავშირებით ა.წ. 4 აპრილს დააკმაყოფილა.

შშმ პირთა პოლიტიკური უფლებები საქართველოში

როგორ რეალიზდება საქართველოში შშმ პირთა პოლიტიკური და საარჩევნო უფლებები? აღნიშნულ საკითხზე, 15 მაისს, ქ. ქუთაისში, საიამ ქვე-გრანტიორ ორგანიზაციასთან „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოსთან“ ერთად, გამართა კვლევის პრეზენტაცია.

კვლევა *„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება“*, რომელიც USAID-ის მიერ არის მხარდაჭერილი, სამ ეტაპად მიმდინარეობს. კვლევას საიას ქვე-გრანტიორი ორგანიზაცია „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო“ ახორციელებს, რომელმაც კვლევის პირველი ფაზის შედეგები გასულ წელს გამოაქვეყნა. კვლევის ამჟამინდელი - მე-2 ფაზის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, საქართველოში შშმ პირების პოლიტიკური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანია:

- ადაპტირებული ინფრასტრუქტურისა და გარემოს არსებობის აუცილებლობა;
- -ადაპტირებული ტრანსპორტის საჭიროება შშმ პირთა გადაადგილებისათვის;
- საარჩევნო უბნების სრულყოფილად ადაპტირების აუცილებლობა;
- შშმ პირთა ინფორმირებულობის დონის გაზრდა მათი საარჩევნო უფლებების შესახებ;
- შშმ პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩართვის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან;
- კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს იმ უფლებების ასპექტების ჩამონათვალი, რომელთა შეზღუდვა და მის განხორციელებაში მხარდაჭერის დანიშვნა დაუშვებელია;
- მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილებები პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობასთან დაკავშირებით იყოს დასაბუთებული.

ზემოაღნიშნული კვლევის მე-3 ნაწილის შედგები მიმდინარე წლის დასასრულს გამოქვეყნდება.

საიას წარმატებული საქმეები

საია ყოველწიურად ასეულობით ადამიანს იცავს სასამართლოს, მათ შორის საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების წინაშე მათი დარღვეული უფლებების აღსადგენად.

#საია #მეაქვარ

ბოლო თვეების განმავლობაში საიას დახმარების შედეგად:

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია ხელმისაწვდომი გახადოს ბრაილის შრიფტით ან სხვა ალტერნატიული საშუალებებით; ასევე, შშმ პირებისათვის სოციალური/ჯანდაცვის პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება უზრუნველყოს ბრაილის შრიფტის ან/და სხვა ალტერნატიული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით;

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები ხელმისაწვდომი გახადოს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისათვის საქართველოს მოქალაქეთა თანასწორად;

- შშმ პირის სასარგებლოდ კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელემ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მაშინ მიიღო, როდესაც ერთ-ერთი მუზეუმის დათვალიერებისას მოულოდნელად ჩამოიშალა აივნის მოაჯირის კონსტრუქცია.

ახალი პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა თბილისში“

6 ივნისს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და „ტფილისის ჰამქარის“ ორგანიზებით, ერთობლივი პროექტის „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა თბილისში“ გახსნის ღონისძიება გაიმართა.

პროექტის უმთავრესი მიზანია თბილისში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის გაუმჯობესება და ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ საქმიანობის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდა.

ასევე, პროექტის ფრაგლებში მოხდება თბილისის მართვის პროცესში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტრუმენტების გაძლიერება და სარეაბილიტაციო პროცესის სწორი მეთოდოლოგიით შესრულების დამკვიდრების ხელშეწყობა.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „ტფილისის ჰამქარი“ განახორციელებენ ფონდის საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასებას. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით კი, მოამზადდება კონკრეტული რეკომენდაციები შემდგომში მათ ადვოკატირების მიზნით გადაწყვეტილების მიმღებ შესაბამის პირებთან საზოგადოების დაინტერესებისა და მხარდაჭერის მოპოვებისთვის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „ტფილისის ჰამქარი“ , ასევე, ჩაატარებენ ინტენსიურ საინფორმაციო კამპანიებს.

პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა თბილისში“ ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროექტის EWMI ACCESS-ის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მიერ.

საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება

მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ახალი პროექტის საშუალებით დაიწყო საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება უსაფრთხოების სექტორზე - საიდუმლო შესყიდვების მიმართულებით.

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს კვლევაზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას, ასევე, საპარლამენტო და უსაფრთხოების სექტორში ადვოკატირების კამპანიის გზით, უსაფრთხოების სექტორზე - საიდუმლო შესყიდვების კუთხით სამოქალაქო - დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების დახვეწისა და გაძლიერების ხელშეწყობას. პროექტის მოსალოდნელი შედეგი კი, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კორუფციული რისკების მინიმუმამდე დაყვანაა.

პროექტი მხარდაჭერილია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ და იგი 2019 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

საიას შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) დაარსდა 1994 წელს და მას ჰყავს 800-ზე მეტი წევრი, 120 თანამშრომელი, ათეულობით საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი და პარტნიორი ორგანიზაცია. საიას აქვს ოფისები საქართველოს მასშტაბით: ბათუმში, გორში, დუშეთში, ზუგდიდში, თბილისში, თელავში, ოზურგეთში, რუსთავსა და ქუთაისში.

*დაარსებიდან (1994 წ.) დღემდე, **საიამ დაიცვა 1 მილიონზე მეტი ადამიანის უფლება!***

დღეს, საია აქტიურად მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვის, სტრატეგიული სამართალწარმოების, კარგი მმართველობისა და იურიდიული განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებებით.

2017 წელს საიამ უფასო სამართლებრივი დახმარება გაუწია 35 334 პირს,** საქართველოს მასშტაბით გამართა 3 659 გასვლითი სახის კონსულტაცია, ხოლო სამართალწარმოების შედეგად კი, **წარმატებით დასრულა 121 საქმე, მათგან ექვსი საკონსტიტუციო სასამართლოში და ოთხი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

*ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის თანახმად, საქართველოში **უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად, მოქალაქეთა მიმართვიანობისა და ცნობადობის თვალსაზრისით, საია ლიდერია.** გამოკითხულთა 66%-ს სმენია საიას უფასო იურიდიული დახმარების შესახებ, ხოლო 62% დახმარებისთვის სწორედ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიმართავს.*

GYLA_CSO GYLA.ge www.gyla.ge

დონორები

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

Kingdom of the Netherlands

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EQUAL RIGHTS TRUST

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

SIGRID RAUSING TRUST

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | GEORGIA

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

NED National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world

British Embassy Tbilisi

Brot für die Welt

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

საიას საინფორმაციო ბიულეტენი გამოდის სამ თვეში ერთხელ,
ასევე, დამატებით, მოიცავს სპეციალურ თემატურ გამოშვებებს.